ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 269

ქალაქი ქუთაისი 27 მაისი 2020 წელი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო, 2020 წლის პირველი მარტიდან 2020 წლის პირველ ივნისამდე პერიოდში, ქალაქ ქუთაისში M_1 (მსუბუქი ავტომობილები), M_2 (ავტობუსები 5 ტონამდე სრული მასით) და M_3 კატეგორიის (ავტობუსები 5 ტონაზე მეტი სრული მასით) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების გამწევი კომპანიების ქალაქ ქუთაისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე ნებართვის გაცემის ფასის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ. ბ“ ქვეპუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26^2 მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების საფუძველზე:

მუხლი 1. 2020 წლის პირველი მარტიდან 2020 წლის პირველ ივნისამდე პერიოდში, ქალაქ ქუთაისში M_1 (მსუბუქი ავტომობილები), M_2 (ავტობუსები 5 ტონამდე სრული მასით) და M_3 კატეგორიის (ავტობუსები 5 ტონაზე მეტი სრული მასით) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების გამწევი კომპანიები გათავისუფლდნენ ქალაქ ქუთაისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე ნებართვის გაცემის ფასის გადახდის ვალდებულებისაგან.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2020 წლის პირველი მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია